განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკა

საბაკალავრო პროგრამა

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 03.12.2018
დასკვნის წარდგენის თარიღი 04.01.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჟურნალისტიკის ბაკალავრი 0703
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული N196 10.12.2013

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა კაჭარავა, გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, თსუ. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მახვილაძე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებთა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია 10.12.2013 გაიარა. ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისიწინებს ჟურნალისტიკის მიმართულების, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული დარგების, კერძოდ: ჟურნალისტიკის კვალიფიკაციის შესაბამისი სასწავლო კურსების ერთობლიობას. საბაკალავრო პროგრამაზე პირველი ნაკადი 2014 წლის სექტემბერში მიიღეს, კურსდამთავრებულებს ჟურნალისტიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია 2018 წლის ივნისში მიენიჭათ.

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ახალი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, 2017 წლიდან დაიგეგმა პროგრამის განვითარებით დაინტერესებული მხარეების მოთხოვნათა კვლევა და მედიაბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის განახლება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 10.01.2017 წლის (ოქმი N2) გადაწყვეტილების თანახმად ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის მიზნით შეიტანილ იქნა ცვლილებები.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხდომაზე 12.01.2018. (ოქმი N2) რეაკრედიტაციის მიზნით მიღებულ იქნა პროგრამის სასწავლო კურიკულუმის დახვეწა-განახლების გადაწყვეტილება.

გარკვეული მიზეზის გამო მიმდინარე წელს პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა არ განხორციელებულა. ამჟამად, აქტიური სტატუსის მქონეა 118 სტუდენტი. პროგრამაში ჩართულია 37 პედაგოგი, მათ შორის 8 აფილირებული პროფესორი, 29 - მოწვეული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 3 დეკემბერს. ვიზიტამდე სამი დღით ადრე 30 ნოემბერს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერთა ჯგუფი. ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და გასაუბრებისთვის ძირითადი კითხვები ჩამოაყალიბეს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვიზიტი წარიმართა მშვიდ, კეთილგანწყობილ, აკადემიურ გარემოში. შედგა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობა, გადაამოწმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს და დეკანის მოადგილეს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები, რაც ადეკვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**v**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**v**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**v**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**v**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**v**			

- **რეკომენდაციები**
  - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობის პროგრამით და საერთაშორისო კონფერენციებით.

    უნდა გაიზარდოს გაცვლითი პროგრამებით დაინტერესელ სტუდენტთა რიცხვი, ამასთანავე, შავი ზღვის უნივერსიტეტი საერთაშორისო სტატუსს ატარებს და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ინტენსიური კონტაქტი ხელს შეუწყობს სტუდენტების საერთაშორისო დონის სპეციალისტებად ჩამოყალიბებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.2. არჩევითი კომპონენტში, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს, სასურველია, წარმოდგენილი იყოს ჟურნალისტიკის სპეციალობის დისციპლინები, ზოგადი განათლების საგნები, როგორიცაა, „ფილოსოფია“, „მე-20 საუკუნის დიადი წიგნები“, „პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორია“ გადატანილ იქნას პროგრამის სხვა სტრუქტურულ ნაწილში.

2.3. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ჟურნალისტიკა ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკოსი ჟურნალისტების მომზადებაზე, საგნის - „მედიის კვლევის მეთოდები“- ფარგლებში სასურველია სტუდენტებს დაევალოთ მცირე კვლევითი პროექტის წარდგენა. სილაბუსის შედეგებში აღნიშნულია რომ, „კურსის გავლის შემდეგ თითოეული სტუდენტი შეძლებს დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა“, კარგი იქნება თუ სტუდენტები სწავლის პროცესში წარადგენენ კვლევით პროექტს, რაც მათ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში დაეხმარება.

საგანი ფოტოჟურნალისტიკა ისწავლება მერვე სემესტრში, თუმცა უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული დისციპლინა უფრო დაბალ საფეხურზე შეისწავლონ სტუდენტებმა, რადგან ფოტოგრაფიის სპეციფიკის შესწავლა მათ ისეთი პრაქტიკული საგნების ათვისებაში დაეხმარება, როგორიცაა „გაზეთის წარმოება“, „ჟურნალის წარმოება“, „ახალი მედია“.

2.4. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს 3 საერთაშორისო კონფერენციაში, სასურველია, სამეცნიერო კვლევის უნარების ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მეტი ინტენსივობა.

4.2 სასურველია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, რაც ითვალისწინებს არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებას მასტერ-კლასების, ტრენინგების და სხვა ჩატარების გზით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობის ფორმებსაც, რაც ერთის მხრივ, აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს დაეხმარება საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყოს დარგის განვითარებას და საერთაშორისო სივრცეში მის ადაპტირებას.

4.3. სასურველია - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. თანამედროვე ტექნოლოგიებით სასწავლო აუდიტორიების აღჭურვილობის გაფართოება; სწავლა -სწავლების პროცესის სრული ავტომატიზაცია.

5.3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემის განვითარება; ელექტრონული პლატფორმის განვითარება სამუშაო პროცესების გამარტივების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამაში ოპტიმალურადაა წარმოდგენილი თეორიული და პრაქტიკული საგნების სინთეზი. ვინაიდან, აღნიშნული პროგრამა პრაქტიკოსი ჟურნალისტის მომზადებაზეა ორიენტირებული საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია, რომ საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა მედიასაშუალებებში რადიო „თავისუფლება“, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ტელეკომპანია „იმედი“, შპს „ლიბერალი“, „დოიჩე ველე აკადემია“, ტელეკომპანია „პირველი ტვ“, გაზეთი „ჯორჯია თუდეი“, „აჭარის ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებელი“,გაზეთი „რეზონანსი“, რადიო „Jako FM, რადიო „იმედი“, „პალიტრამედიას“ შპს „ნიუსრუმი“, საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი „კვირა“, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ თაიმი“, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროფესიულ ზრდას რეალურ ჟურნალიტურ გარემოში პროფესიონალი ჟურნალისტების სამუშაო პროცესზე დაკვირვებით, პროცესში თანამონაწილობით და დამოუკიდებელი მუშაობით. ასეთი გამოცდილება სტუდენტებს საშუალებას აძლევს კომპლექსურად გაიაზრონ პროგრამით გათვალისწინებული გავლილი მასალა და მთლიანად ჟურნალისტიკის, როგორც დარგის სპეციფიკა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სტაჟირების და პრაქტიკის გავლის შემდეგ სტუდენტებს თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ დარჩნენ მედიაორგანიზეციებში სხვადასხვა პოზიციებზე.
  - პროგრამის ამოქმედებისთანავე დაფუძნდა სტუდენტური სემესტრული საუნივერსიტეტო გაზეთი. 2017 წლის სექტემბერში სტუდენტების ინიციატივითა და საერთაშორისო სასწავლო ორგანიზაცია „დოიჩე ველე აკადემიის“ ხელშეწყობით შეიქმნა სტუდენტური ინტერნეტ რადიო „ლობსტერი“.
  - სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების დოკუმენტში, (პროგრამის შეფასებაში მონაწილეობა მიიღო პროგრამის ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების ცამეტმა სტუდენტმა (22.12.2017), გამოვლინდა სტუდენტების სურვილი შეთავაზებულ იქნას არჩევითი საგნების უფრო მრავალფეროვანი სპექტრი. ამის გათვალისწინებით შეიქმნა არჩევითი საგნების ნუსხა, რომელიც ორიენტირებულია, როგორც სტუდენტთა საერთო ერუდიციის გაღრმავებაზე, ასევე კონკრეტული სპეციალობის არჩევითი საგნების შესწავლაზე.
  - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინგლისურ ენაში B2 დონის მიღწევის შემდეგ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს რუსული, ფრანგული, ესპანური, გერმანული, თურქული ენები.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - განმეორებითი აკრედიტაციისთვის პროგრამის მიზნები უკეთ ჩამოყალიბდა და უფრო მეტად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის სავალდებულო და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა.
  - ზოგადი განათლების ამაღლების მიზნით დაემატა შემდეგი კურსები - „კულტუროლოგია“, „ქართული კლასიკური მწერლობა“, „მე-20 საუკუნის დიადი წიგნები“, „პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორია“.

- გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულო საგნებში - „ჟურნალის წარმოება“ და „სატელევიზიო ახალი ამბები“. ორივე საგანში საკონტაქტო საათების ოდენობა გაიზარდა კვირაში 3 საათიდან 4 საათამდე.
- დამსაქმებლების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგად ცვლილებები შევიდა კომპეტენციებსა და სწავლის შედეგებში. სწავლის შედეგები გამსხვილდა და შემუშავდა სწავლის შედეგებზე დაკვირვების მექანიზმი.
- პროგრამის ამოქმედების სემესტრიდანვე დაფუძნდა სტუდენტური სემესტრული საუნივერსიტეტო გაზეთი. 2017 წლის სექტემბერში სტუდენტების ინიციატივითა და საერთაშორისო სასწავლო ორგანიზაცია „დოიჩე ველე აკადემიის“ ხელშეწყობით შეიქმნა სტუდენტური ინტერნეტ რადიო „ლობსტერი“.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უსდ-ს მისიას და მიზნად ისახავს საერთაშორისო, ქვეყნის და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ჟურნალისტიკის ყველა სფეროში ბეჭდური მედიის, ელექტრონული მედიის, ახალი მედიის მიმართულებით. პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია; ითვლისწინებს შრომის საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს და ორიენტირებულია პრაქტიკოსი ჟურნალისტის მომზადებაზე, რომელიც ფლობს საინფორმაციო, ანალიტიკური და შემოქმედებითი ჟურნალისტიკის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, ჟურნალისტური ოსტატობის ხერხებს, თემის შერჩევის, ინფორმაციის მოძიების, გადამოწმების და დამუშავება-გავრცელების მეთოდებს, ობიექტურ ცოდნას მიუკერძოებელი და დაბალანსებული მედიის მუშაობის პროფესიული სტანდარტების შესახებ. აღნიშნული პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავდეს ისეთი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მას წარმატებით დასაქმების, პრაქტიკული საქმიანობისათვის მზადყოფნის და სწავლის

შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საშუალებას მისცემს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგია; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნათა ანალიზი; ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდაციები არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება "ჟურნალისტიკის" პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას ჟურნალისტიკის ყველა სფეროში ბეჭდური მედია, ელექტრონული მედია, ახალი მედია; ჟურნალისტური პროფესიის საინფორმაციო, ანალიტიკური, შემოქმედებითი ჟურნალისტიკის მიმართულებით. წარმოდგენილ კურიკულუმში არსებული საგნების სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, აქტივობა, საბოლოო გამოცდების და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რელევანტურია დასახული მიზნის მისაღწევად.

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. პროგრამაში წარმოდგენილი პრაქტიკული კომპონენტის შედეგებზე მსჯელობა შესაძლებელია სტუდენტების მიერ მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტის შინაარსისა და ფორმის გაანალიზებით.

პროგრამის შედეგები რეალისტურია და შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. უსდ-ს გამოკითხვის მიხედვით დამსაქმებელთათვის პრიორიტეტულია ახალგაზრდა ჟურნალისტი ფლობდეს ცოდნას ჟურნალისტიკის ძირითადი თეორიებისა და პრინციპების შესახებ, მიუკერძოებელი მედიის მუშაობის სტანდარტების შესახებ, იცნობდეს მედიის რეგულირებისა და თვითრეგულირების ადგილობრივ და საერთაშორისო მექანიზმებს; ქმნიდეს ჟურნალისტურ მასალებს, შეეძლოს გუნდში მუშაობა და ინტერნეტსივრცეში მედიაპროდუქტის ტირაჟირება.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის „ჟურნალისტიკა" მიზანთან და სრულად ასახავს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულს ენიჭება ჟურნალისტიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

საბაკალავრო სწავლების საფეხურზე მიღებული განათლება ქმნის ცოდნის გაფართოების და გაღრმავების საფუძველს და კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- ✓ სწავლის შედეგების რუკა;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამაში პრაქტიკოსი ჟურნალისტების და რედაქტორების ჩართვა პროგარამის შედეგების ეფექტურად მიღწევას და სტუდენტებისთვის თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარების გამომუშავებას განაპირობებს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი შემდეგი ჩამონათვალიდან: ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უსდ-ს „სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის“ მოთხოვნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓საგანმანათლებლო პროგრამა; ✓სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; ✓თვითშეფასების ანგარიში; ✓ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ✓უნივერსიტეტის ვებგვერდი;
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომლის ძირითადი სპეციალობის კომპონენტი მოიცავს 140 კრედიტს. მათ შორის: 115 კრედიტი - სავალდებულო კომპონენტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:105 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები; 10 კრედიტი - საბაკალავრო ჯგუფური პროექტი; 25 კრედიტი - არჩევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს.

პროგრამის დარჩენილი 100 კრედიტი მოიცავს: 20 კრედიტი - ინგლისური ენა; (ან მეორე უცხო ენა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურების შემთხვევაში); 5 კრედიტი - ინფორმაციული ტექნოლოგიები; 5 კრედიტი - აკადემიური წერა; 10 კრედიტი - თავისუფალი კრედიტები; 60 კრედიტი - დამატებითი (Minor) საგანმანათლებლო პროგრამა, ან თავისუფალი კრედიტები.

სულ 25 კრედიტის აღება შეუძლია სტუდენტს სპეციალობის არჩევითი კურსებიდან. პროგრამით განსაზღვრულია მინიმუმ 10 თავისუფალი კრედიტი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ირჩევს მაინორ პროგრამას, მას მეორადი სპეციალობის დასაუფლებლად გათვალისწინებული 60 კრედიტიც შეუძლია შეავსოს თავისუფალი კომპონენტებით.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. უმრავლეს პრაქტიკულ საგნებს გააჩნიათ შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა,

რაც ლოგიკური და თანმიმდევრულია. სპეციალობის ძირითადი საგნების გარდა (115 კრედიტი), სადაც კარგად არის წარმოდგენილი პრაქტიკული კომპონენტიც მაგალითად, „საუნივერსიტეტო

მედიაპლატფორმის პრაქტიკუმი 1“, „საუნივერსიტეტო მედიაპლატფორმის პრაქტიკუმი 2“, სტუდენტები შეისწავლიან სპეციალობის არჩევით საგნებს (25 კრედიტი), რომელიც მოიცავს თანამედროვე სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს და მომავალი ჟურნალისტების კონკრეტულ დარგებში საბაზისო ცოდნის მიღებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, სიახლეა, სტუდენტებისთვის ისეთი დისციპლინების შეთავაზება როგორიცაა, „ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების გაშუქება“, „აგრარული ჟურნალისტიკა“, „საავტორო დოკუმენტური კინო“ „დიასპორული ჟურნალისტიკა“ და ა.შ. პროგრამაში სპეციალობის არჩევითი საგნების ფართო სპექტრიდან დისციპლინების ნუსხაში შეთავაზებულია ისეთი ზოგადსაგანათლებლო საგნები, როგორიცაა „ფილოსოფია“, „მე-20 საუკუნის დიადი წიგნები“, „პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორია“ და ა.შ აღნიშნული დისციპლინები, რომელიც სტუდენტების ზოგადი განათლების მიღებას ემსახურება სასურველია გაიწეროს არჩევითი საგნების სხვა სტრუქტურულ ერთეულში.

სილაბუსები, პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურობა, პროგრამის ორგანიზების თანხვედრა უნივერსიტეტის სწავლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან თავსებადია პროგრამის შექმნის აღიარებულ სტანდარტებთან .

პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული საგნების ნაწილი ისწავლება მულტიმედია საგანმანათლებლო ცენტრში (MEC), აგრეთვე სტუდენტებს საშუალება აქვთ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული რადიო „ლობსტერის“ საშუალებით გაიღრმავონ ცოდნა რადიოჟურნალისტიკაში.

საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა მედიასაშუალებებში რადიო „თავისუფლება“, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ტელეკომპანია „იმედი“, შპს „ლიბერალი“, „დოიჩე ველე აკადემია“, ტელეკომპანია „პირველი ტვ“, გაზეთი „ჯორჯია თუდეი“, „აჭარის ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებელი“,გაზეთი „რეზონანსი“, რადიო „Jako FM, რადიო „იმედი“, „პალიტრამედიას“ შპს „ნიუსრუმი“, საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი „კვირა“, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ თაიმი“, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროფესიულ ზრდას რეალურ ჟურნალიტურ გარემოში პროფესიონალი ჟურნალისტების სამუშაო პროცესზე დაკვირვებით, პროცესში თანამონაწილეობით და დამოუკიდებელი მუშაობით.

პროგრამა შესაბამისობაშია ჟურნალისტიკის ბაკალავრის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის თითოეული საგანის, აგრეთვე მთლიანად პროგრამის, ასათვისებლად დასახარჯი დრო დათვლილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ კურიკულუმის რუკა;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია);
- ✓ გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
- ✓ მემორანდუმები;

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არჩევით კომპონენტში, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს, სასურველია, წარმოდგენილი იყოს ჟურნალისტიკის სპეციალობის დისციპლინები, ზოგადი განათლების საგნები, როგორიცაა, „ფილოსოფია“, „მე-20 საუკუნის დიადი წიგნები“, „პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორია“ გადატანილ იქნას პროგრამის სხვა სტრუქტურულ ნაწილში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა მედიასაშუალებებში რადიო „თავისუფლება“, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ტელეკომპანია „იმედი“, შპს „ლიბერალი“, „დოიჩე ველე აკადემია“, ტელეკომპანია „პირველი ტვ“, გაზეთი „ჯორჯია თუდეი“, „აჭარის ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებელი“,გაზეთი „რეზონანსი“, რადიო „Jako FM, რადიო „იმედი“, „პალიტრამედიას“ შპს „ნიუსრუმი“, საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი „კვირა“, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ თაიმი“, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროფესიულ ზრდას რეალურ ჟურნალიტურ გარემოში პროფესიონალი ჟურნალისტების სამუშაო პროცესზე დაკვირვებით, პროცესში თანამონაწილეობით და დამოუკიდებელი მუშაობით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც, საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება; კურსის ავტორის ვინაობა; ლექტორის ვინაობა, სტატუსი, აკადემიური ხარისხი და საკონტაქტო ინფორმაცია; სასწავლო კურსის სტატუსი; მიზნები; -კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS); კურსზე დაშვების წინაპირობები; სწავლის შედეგები; სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლების/სწავლის მეთოდები; შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სტრუქტურა; ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა; დამატებითი ინფორმაცია/პირობები. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევენ საბაზისო თეორიულ ცოდნას და გამოუმუშავებენ ჟურნალისტისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს. სასწავლო კურსების დასახელებები მთლიანად შეესაბამება მედიის პარადიგმის ლოგიკურ განშტოებებს და დარგში დამკვიდრებულ კლასიფიკატორებს. სწავლა - სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკა და შინაარსი, ისე მისაღწევი შედეგები; სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრულია

სასწავლო კურსის ფორმატი). მაგალითად ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა: საუნივერსიტეტო მედიაპლატფორმის პრაქტიკუმი 1; საუნივერსიტეტო მედიაპლატფორმის პრაქტიკუმი 2; ახალი მედია; - დომინირებს პრაქტიკული მეცადინეობები. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გათვალისწებულია როგორც ლექცია და სემინარი, ასევე პრაქტიკული მეცადინეობაც („ახალი ამბების ჟურნალისტიკა I“, „ინტერვიუსა და რეპორტაჟის მომზადება“, „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“, ‘გაზეთის წარმოება“ და სხვა). რიგი სასწავლო კურსები ითვალისწინებს როგორც სააუდიტორიო, ასევე გასვლით არასაუდიტორიო მეცადინეობებს „სატელევიზიო ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ ისწავლება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მულტიმედია საგანმანათლებლო ცენტრში (MEC), რომელსაც სტუდენტები იყენებენ სიუჟეტებისა და რეპორტაჟების მოსამზადებლად.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ჟურნალისტიკა ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკოსი ჟურნალისტების მომზადებაზე პროგრამაში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევის საწყისი უნარების გამომუშავება მაგალითად „მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ სასწავლო კურსი გულისხმობს - მცირე კვლევას, შინაარსობრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით რეფერატის მომზადებას. ამდენად, პროგრამა ორიენტირებულია, სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე თუმცა, ითვალისწინებს კვლევის საბაზისო ჩვევების ჩამოყალიბებასაც.

საგნის „მედიის კვლევის მეთოდები“- ფარგლებში სასურველია სტუდენტებს დაევალოთ მცირე კვლევითი პროექტის წარდგენა, რაც ასევე ხელს შეუწყობს კვლევის საბაზისო უნარების გამომუშავებას, კვლევის ამგვარი გამოცდილება სტუდენტებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში დაეხმარება.

საგანი ფოტოჟურნალისტიკა ისწავლება მერვე სემესტრში, უმჯობესი იქნებოდა სტუდენტებმა აღნიშნული დისციპლინა უფრო დაბალ საფეხურზე გაიარონ, რადგან ფოტოგრაფიის ფორმებისა და თავისებურებების შესწავლა, ფოტოგრაფიის მიმართების გაანალიზება მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან, როგორიცაა, ტრადიციული გაზეთი და ჟურნალი თუ ახალი მედია, სტუდენტებს დაეხმარება დისციპლინების “გაზეთის წარმოება”, “ჟურნალის წარმოება”, “ახალი მედია” უკეთ შესწავლაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ კურიკულუმის რუკა;
- ✓ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ჟურნალისტიკა ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკოსი ჟურნალისტების მომზადებაზე, საგნის - „მედიის კვლევის მეთოდები“- ფარგლებში სასურველია სტუდენტებს დაევალოთ მცირე კვლევითი პროექტის წარდგენა. სილაბუსის შედეგებში აღნიშნულია რომ, „კურსის გავლის შემდეგ თითოეული სტუდენტი შეძლებს დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა“, კარგი იქნება თუ სტუდენტები სწავლის პროცესში წარადგენენ კვლევით პროექტს, რაც მათ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში დაეხმარება. საგანი ფოტოჟურნალისტიკა ისწავლება მერვე სემესტრში, თუმცა უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული დისციპლინა უფრო დაბალ საფეხურზე შეისწავლონ სტუდენტებმა, რადგან ფოტოგრაფიის სპეციფიკის შესწავლა დაეხმარება ისეთი პრაქტიკული საგნების ათვისებაში როგორიცაა „გაზეთის წარმოება“, „ჟურნალის წარმოება“, „ახალი მედია“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): თეორიული და პრაქტიკული საგნების ოპტიმალური თანაფარდობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ჟურნალისტის პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის

თანაფარდობა. აღნიშნული უნარების მისაღწევად, თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს. საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას პრაქტიკულ საქმიანობაში, რომელიც იწყება აუდიტორიაში სასწავლო კურსებით გათვალისწინებული საათებიდან ცალკეული შესასწავლი საკითხების შესაბამისად. ჟურნალისტური საქმიანობისთვის აუცილებელი შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით სტუდენტები, გარკვეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასრულებენ სხვადასხვა სახის პრაქტიკულ დავალებებს, რაც საშუალებას აძლევთ ცალკეული შესასრულებელი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას შეიძინონ კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გამოიყენონ კონკრეტულ სიტუაციაში. პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისა და განვითარებისათვის გათვალისწინებულია პრაქტიკული-გასვლითი (არასააუდიტორიო) მეცადინეობებიც. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული საგნების ნაწილი ისწავლება მულტიმედია საგანმანათლებლო ცენტრში(MEC), აგრეთვე სტუდენტებს საშუალება აქვთ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული რადიო „ლობსტერის“ საშუალებით გაიღრმავონ ცოდნა რადიოჟურნალისტიკაში. პრაქტიკული უნარების გაძლიერება/ განმტიცებას ემსახურება პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი (ეთმობა 5 კრედიტი), რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას. საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა მედიასაშუალებებში რადიო „თავისუფლება“, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ტელეკომპანია „იმედი“, შპს „ლიბერალი“, „დოიჩე ველე აკადემია“, ტელეკომპანია „პირველი ტვ“, გაზეთი „ჯორჯია თუდეი“, „აჭარის ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებელი“,გაზეთი „რეზონანსი“, რადიო „Jako FM, რადიო „იმედი“, „პალიტრამედიას“ შპს „ნიუსრუმი“, საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი „კვირა“, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ თაიმი“, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროფესიულ ზრდას რეალურ ჟურნალიტურ გარემოში პროფესიონალი ჟურნალისტების სამუშაო პროცესზე დაკვირვებით, პროცესში თანამონაწილობით და დამოუკიდებელი მუშაობით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს 3 საერთაშორისო კონფერენციაში, სასურველია, სამეცნიერო კვლევის უნარების ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მეტი ინტენსივობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში; ✓ სტუდენტების ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; ✓სტუდენტური კონფერენციები, გამოფენები, და ა.შ.

✓ არსებობის შემთხვევაში, განხორციელებული პრაქტიკა;
✓ პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
✓ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
✓ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს 3 საერთაშორისო კონფერენციაში, სასურველია, სამეცნიერო კვლევის უნარების ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მეტი ინტენსივობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას სტუდიებში (ბეჭდური, სამაუწყებლო (რადიო და ტელევიზია და ახალი მედია) და სასწავლო პრესკლუბში, ცნობილ ჟურნალისტთა მასტერკლასებს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში სტაჟირებას.

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; გონებრივი იერიში (Brain storming); ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები; მათ შორის „გააკეთე შენ თვითონ“.

სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლა-სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეფექტს - სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის ათვისებას და შესაბამისი შეფასების მიღებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ✓ გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

შეფასების საშუალებები შემდეგია: ტესტი/ქვიზი; საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;

საშინაო დავალება; დისკუსია; ზეპირი გამოკითხვა; წერითი გამოკითხვა; ესე/რეფერატი;

სემინარი; პრეზენტაცია; ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი; შუალედური და

დასკვნითი გამოცდა.

საბაკალავრო ჯგუფური პროექტის შეფასება

საბაკალავრო ჯგუფური პროექტი მზადდება სწავლების მე-8 სემესტრში და გულისხმობს მინიმუმ 5, მაქსიმუმ 10 კაციანი ჯგუფების მიერ ჟურნალისტური პროდუქტის (გაზეთის, ჟურნალის, რადიო ან ტელეგადაცემის, ანდა ახალი მედიის პროექტის) მომზადებას.

საბაკალავრო პროექტს ხელმძღვანელობს მიმართულების პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ჯგუფთან უშუალოდ მუშაობს შესაბამისი საგნის პედაგოგი („გაზეთის წარმოების“, „ჟურნალის წარმოების“, „ახალი ამბები რადიოში“, „სატელევიზიო ახალი ამბები“, „ახალი მედია“).

საბაკალავრო ჯგუფური პროექტი ფასდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით

შუალედური შეფასებები - 70 ქულა (მინიმალური ქულა - 25), ჩართულობა/სემინარები - 30 ქულა, შუალედური გამოცდა (პროექტის გეგმის წარდგენა) - 25 ქულა (აფასებს საბაკალავრო პროექტის მენტორი), მენტორის დასკვნა - 15 ქულა, დასკვნითი გამოცდა (პროექტის დაცვა) - 30 ქულა, (მინიმალური ქულა - 16) - ჯამი 100ქულა.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურებით, რაც კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. კრიტერიუმები სამართლიანია ყველასთვის და გამჭვირვალეა.

ყოველი საგანის შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში გაწერილია მკაფიოდ - თითოეულ კომპონენტში ქულათა სათანადო ჩაშლით. თითოეულ საგანში შეფასება ხორციელდება სილაბუსში გაწერილი კომპონენტების მიხედვით სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და შედეგებიდან გამომდინარე. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ფინალურ გამოცდამდე იცოდეს შუალედური შეფასების კომპონენტებში მიღებული ქულების ოდენობა და ჯამი, რადგან უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემაში (sis) მისი გვარის გასწვრივ შეტანილი ქულები სტუდენტისათვის ხილვადია. დაინტერესების შემთხვევაში

სტუდენტს წერითი ფინალური გამოცდების შეფასებების (აგრეთვე, შუალედური გამოცდის) ნახვა შეუძლია. ფინალური გამოცდის ტესტების სტრუქტურა ემთხვევა სილაბუსებში ფინალური გამოცდის ტესტის აღწერილ სტრუქტურასა და ქულათა გადანაწილებას - ამაზე საგნის პედაგოგის გარდა პასუხისმგებელია პროგრამის კოორდინატორი და სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი, რომლებიც ამოწმებენ საგამოცდო ტესტის შესაბამისობას სილაბუსთან. ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, ანდა პრაქტიკული პროექტის მომზადების შემთხვევაში სტუდენტს იქვე, ზეპირსიტყვიერად ეცნობა შეფასება. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას; შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, მითითებულია თითოეულ სილაბუსში და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემის sis.ibsu.edu.ge მეშვეობით; პროგრამის სტუდენტები დროულად იღებენ ლექტორებისგან უკუკავშირს სწავლის შედეგების შესახებ, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას; საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სტუდენტების შეფასება დადგენილი პროცედურების მიხედვით სამართლიანად, გამჭვირვალედ და კანონმდებლობასთან შესაბამისად ხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა; ✓ სილაბუსები, სადაც მოცემულია შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; ✓ ფინალური და შუალედური გამოცდის ტესტები; ✓ საგნების ანგარიში ელექტრონული სისტემაში (sis.ibsu.edu.ge-ზე). ✓ შზსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ✓ შზსუ-ს გამოცდების ჩატარების წესი.
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამის ათვისების შეფასება ადეკვატურია, რადგან სავალდებულო საგანი „საბაკალავრო ჯგუფური პროექტი“ აჯამებს პროგრამის განმავლობაში მიღებულ უნარებს. საბაკალავრო პროექტის დაცვისას ცხადი ხდება რამდენად აითვისა პროგრამა თითოეულმა სტუდენტმა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო კონსულტაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე. თითოეული მათგანი ღებულობს სასურველ კონსულტაციას და დახმარებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები.

როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს და, ასევე, ინტერვიუირების პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით დასტურდება, სტუდენტები ღებულობენ სრულ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის და საკუთარი პროფილის განსაზღვრის, ასევე შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების და პოტენციურ დამსაქმებლებთან კონტაქტების დამყარების კუთხით. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით და მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში. ასევე, სტუდენტებს არ აქვთ ენობრივი ბარიერის პრობლემა, რადგან უცხო ენისთვის გამოყოფილია 20 კრედიტი და სტუდენტები ინგლისური ენას B2 დონის ჩათვლით სწავლობენ. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები არ სარგებლობენ აქტიურად საერთაშორისო მობილობის პროგრამით და საერთაშორისო კონფერენციებით. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სამმა სტუდენტმა 2016-2017 ს.წ.– 1 სტუდენტი, პოლონეთი, ვარშავა, ვისტულას უნივერსიტეტი ; 2017-2018 ს.წ. - 2 სტუდენტი, ლატვია, ტურიბას უნივერსიტეტი, უნდა გაიზარდოს გაცვლითი პროგრამებით დაინტერესელ სტუდენტთა რიცხვი, ამასთანავე, შავი ზღვის უნივერსიტეტი საერთაშორისო სტატუსს ატარებს და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ინტენსიური კონტაქტი ხელს შეუწყობს სტუდენტების საერთაშორისო დონის სპეციალისტებად ჩამოყალიბებას.
რეკომენდაციები: • უნდა გაიზარდოს გაცვლითი პროგრამებით დაინტერესებულ სტუდენტთა რიცხვი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შზსუ-ის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირები - აფილირებული აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და შზსუ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამაში ჩართულია 37 პედაგოგი, მათ შორის 8 აფილირებული პროფესორი, 29 - მოწვეული.

თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, შეადგენს 8/118 რაც შესაბამისია შავი ზღვის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი მოთხოვნებთან 1/15.

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, ბოლო 5 წლის სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამაში ჩართულნი არიან მოქმედი ჟურნალისტები და მედიამენეჯერები, რის გამოც სწავლების პროცესში გათვალისწინებულია საქართველოს თანამედროვე მედიაბაზრის მოთხოვნები;
მოწვეული ლექტორების კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;
საბაკალავრო პროგრამას თან ერთვის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. აღნიშნული პერსონალის მიერ წარმოდგენილია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რითაც დგინდება კონკრეტული პედაგოგის იმ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელშიც იგი მონაწილეობს.
პროგრამის ხელმძღვანელი ჟურნალისტიკის დოქტორი, დარგის კვალიფიციური კადრია. ამასთანავე, მას პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება აქვს.
პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატურად მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტებისთვის ინდივინდუალურ კონსულტანციებში.
პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული რესურსით. სულ ჩართულია 3 ადმინისტრაციული პერსონალი - 1 კოორდინატორი, 1 ადმინისტრატორი და სასწავლო პროცესის 1 ზედამხედველი სპეციალისტი , რაც საკმარისია პროგრამის 118 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის მომსახურებისათვის. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა აკადემიური პროფესორის საერთაშორისო სამეცნიერო საქნიამობის დასაფინასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ დოკუმენტი საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ;
- ✓ სამუშაო აღწერილობები;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;(CV)
- ✓ აკადემიური/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);
- ✓ პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- ✓ აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;

✓ უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ მოწვეულია მაღალკვალიფიციური კადრები
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შზსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (როგორც საფაკულტეტო, ისე ცენტრალური) გეგმიურად აანალიზებს პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შრომის ხარისხს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, გეგმიურად ხვდებიან პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს, უმარტავენ მათ საუნივერსიტეტო რეგულაციებს, უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსების გამოყენების წესებსა და

შესაძლებლობებს.
შიდა საუნივერსიტეტო წესების მიხედვით, პედაგოგის საქმიანობა ფასდება რამდენიმე კომპონენტით - სტუდენტების გამოხმაურებებით, საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალის smart-ის გამოყენების ინტენსივობით, შუალედური და ფინალური გამოცდისათვის ტესტების მომზადების ხარისხით და ა.შ. ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გაიცემა რეკომენდაციები. რეკომენდაციებს პროგრამის კოორდინატორი თითოეულ პედაგოგს ინდივიდუალურად აცნობს.
გარდა ამისა, ყოველი წლის ბოლოს ივსება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის კითხვარი, რომელსაც აანალიზებს შზსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა ასეთია: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები-38; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები-29; ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები-31; საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები-24; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები-14.
შზსუ ზრუნავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებაზე - ფინანსურად წახალისებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების დოკუმენტი;
  აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების ყოველწლიური კითხვარით;
- ✓ საფაკულტეტო და ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებით.
- ✓ პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- ✓ სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;
- ✓ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ✓ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ✓ უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, რაც ითვალისწინებს არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებას მასტერ-კლასების, ტრენინგების და სხვა ჩატარების გზით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობის ფორმებსაც, რაც ერთის მხრივ, აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს დაეხმარება საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყოს დარგის განვითარებას და საერთაშორისო

სივრცესთან მის ადაპტირებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შზსუ-ის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია ადეკვატური ფინანსური და მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეწოდოს პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. გამოყოფილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, უნივერსიტეტში არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა . უნივერსიტეტში შექმნილია სწავლისა და კვლევისათვის შესაფერისი და უსაფრთხო გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით; უზრუნველყოფილია უნივერსიტეტისტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში კი – სახანძრო უსაფრთხოება და საევაკუაციო პირობები.შექმნილია შეზღუდული უნარების მქონე

სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. გამართულად ფუნქციონირებს გათბობის, ვენტილაციის, კონდიცირების, განათების სისტემები და სველი წერტილები. კაბინეტ-ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. უნივერსიტეტს ჰყავს მედდა, სამედიცინო პუნქტში არის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტები და აღჭურვილობა.
ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამისათვის შეძენილია ერთი პროფესიული და ორი ნახევრად პროფესიული კამერა, მიკროფონები და შტატივები.
საერთაშორისო სასწავლო ორგანიზაცია „დოიჩე ველე აკადემიის“ ხელშეწყობით შეიქმნა სტუდენტური ინტერნეტ რადიო „ლობსტერი“, რომელისთვისაც გამოყოფილია სპეციალური სივრცე და შესაბამისი ტექნიკით არის აღჭურვილი.
აკრედიტაციის ჯგუფმა დაათვალიერა სატელევიზიო პროექტებისთვის განკუთვნილი სტუდია, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. აკრედიტაციის ჯგუფი ასევე გაეცნო სტუდიისთვის საჭირო ტექნიკის შეძენაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას.
ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული საგნები ისწავლება მულტიმედია განათლების ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის აუდიო და ვიდეო ტექნიკით, სამონტაჟო კომპიუტერებითა და ვიდეო (აუდიო) ჩაწერებისათვის შესაფერისი ინტერიერით.
პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია შზსუ-ს ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. Smart learning პროგრამაში განთავსდება ლექტორების მიერ მომზადებული პრეზენტაციები და სხვა დამხმარე მასალა, რაც სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებელი პირობაა;
პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ ჟურნალისტიკის შესახებ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
შზსუ არის შემდეგი ელექტრონული ბიბლიოთეკების დარეგისტრებული წევრი:

http://search.epnet.com
www.oxfordjournals.org
www.journals.cambridge.org და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას წვდომა აქვს **web of science**-მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაზეც.
პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ✓ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ✓ უნივერისტეტის ბიუჯეტი;
- ✓ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ✓ ნასყიდობის ხელშეკრულება აპარატურის შეძენაზე (11.10.2018)
- ✓ ინტერვიუ უნივერისტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილესთან;

პროგრამის ხელმძღვანელთან; სტუდენტებთან; ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან;
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. თანამედროვე ტექნოლოგიებით სასწავლო აუდიტორიების აღჭურვილობის გაფართოება; სწავლა -სწავლების პროცესის სრული ავტომატიზაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტში გაწერილია უსდ-ის მიერ პროგრამის მხარდაჭერა. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია;

ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამა ფინანსურად მომგებიანია.

2017-18 წლის პროგრამის შემოსავალი შეადგენს 370 605 ლარს, ხოლო მთლიანი დანახარჯია 154 022 ლარი (შემოსავლების - 42%). მათ შორის: თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი - 92 010 ლარი (შემოსავლის 25%), სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები - 10 346 ლარი (შემოსავლის - 3%), საგანმანათლებლო მხარდაჭრის ხარჯები - 51 666 ლარი (შემოსავლის - 14%).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- ✓ ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილესთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა სწავლებისა და სწავლის და მეცნიერული მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში. სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სისტემატიზირებულია უნივერსიტეტის მუშაობის ხარისხის შეფასების, სტანდარტებისა და ეფექტური განხორციელების პროცედურები, რომლებიც ჩვეულებრივ რეგულარულად ხორციელდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადი - შემოწმება - არის მთავარი საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი აფასებს და ასახავს თავის მუშაობას, პოლიტიკას, გეგმებს და პროცესებს, აჩვენებს ანგარიშვალდებულებას, განსაზღვრავს თავის სიძლიერეს და ნებისმიერ საჭირო ცვლილებას გაუმჯობესებისათვის. ხორციელდება მონიტორინგი და იწერება ანგარიში იმისათვის, რომ შემოწმდეს, ჰქონდა, თუ არა მას წინასწარ განსაზღვრული ეფექტი და

ისახება შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა: ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე: მის დაგეგმვაში, განხორციელებაში (მიმდინარე შეფასებები, მათი შედეგების ანალიზი), შემოწმებასა და განვითარებაში. თვითშეფასების შედეგად დადგენილი სირთულეების გასწორება განხორციელდება ყოველწლიურად.

ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის მართვა ხორციელდება დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს და რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ პროგრამაში ხარვეზების აღმოფხვრას, დადებითი დინამიკის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, არსებული შესაძლებლობების გამოყენებას და შესაძლო საფრთხეების სწორად შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- ✓ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ოქმებით;
- ✓ ხარისხის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშებით;
- ✓ ვებ-გვერდით www.ibsu.edu.ge

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასება ხდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. ასევე, პერიოდულად ხდება გარე ექსპერტების მოწვევა, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების. ხორციელდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.
ყოველწლიურად ხორციელდებოდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა, სადაც დეტალურად იყო აღწერილი პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოების, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა განიცდის შესაბამის ცვლილებებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო; მიღებული სტანდარტების საფუძველზე ხდება პროგრამების სისტემატური ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარი, სტუდენტთა მიერ პროგრამების, ლექტორებისა და კურსების შეფასების კითხვარები, წლიური ანგარიში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. წელიწადში ორჯერ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები მათი კმაყოფილების დადგენის და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. შიდა შეფასებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე არკვევს, თუ როგორია სტუდენტთა ჩართულობა, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროგრამის დასახულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიღწევადობას.

წლიური ანგარიშები რეკომენდაციებისა და დასკვნების ჩათვლით გადაეცემა ფაკულტეტს რეაგირებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების ანგარიში ;
- ✓ წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ✓ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი ;
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემის განვითარება; • ელექტრონული პლატფორმის განვითარება სამუშაო პროცესების გამარტივების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ხათუნა კაჭარავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო მახვილაძე

ანჟელა აბულაძე